შპს BIH

2020 წლის
ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 3

2020 წლის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 4

2020 წლის კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 5

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო 6
2. მომზადების საფუძველი 6
3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა 6
4. შემოსავალი 7
5. სხვა ხარჯები 7
6. ძირითადი საშუალებები 7
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 8
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 8
9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 8
10. გადასახადები 8
11. კაპიტალი 8
12. მარაგები 9
13. ფინანსური ხარჯები 9
14. ფინანსური შემოსავლები 9
15. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა 10
16. დაკავშირებული მხარეები 11
17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა და შეფასებები 11
    - (ა) შემოსავალი 11
    - (ბ) სხვა ხარჯები 11
    - (გ) მარაგები 12
    - (დ) ძირითადი საშუალებები 12
    - (ე) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 12
    - (ვ) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 12
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 12

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	31/12/2020	01/01/2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	(6)	109,739	152,135
არამატერიალური აქტივები	*(6)*	605	792
სულ გრძელვადიანი აქტივები		***110,344***	***152,927***
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(7)	1,380,765	1,598,475
ფული და ფულის ეკვივალენტები	(9)	31,571	99,576
მარაგები	(12)	1,604,982	1,058,076
სულ მიმდინარე აქტივები		***3,017,318***	***2,756,127***
სულ აქტივები		***3,127,662***	***2,909,054***
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი	(11)	48,008	48,008
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი			14,379
გაუნაწილებელი მოგება		1,732,286	1,114,677
სულ საკუთარი კაპიტალი		***1,780,294***	***1,177,064***
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხი პარტნიორებისგან		339,236	646,261
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(8)	940,198	1,031,466
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	(10)	67,934	54,263
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		***1,347,368***	***1,731,990***
სულ საკუტარი კაპიტალი და ვალდებულებები		***3,127,662***	***2,909,054***

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 28სექტემბერს და მისი სახელით ხელსაწერს

ულვია ვალიევა

დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 7-12.

2020 წლის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	(4)	3,923,315	3,792,472
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(1,989,680)	(2,054,952)
საერთო მოგება		***1,933,635***	***1,737,520***
დასაქმებულთა ანაზღაურება		(608,675)	(776,628)
ცვეთა და ამორტიზაცია	(6)	(45,726)	(47,423)
პრეპარატის სარეგისტრაციო მომსახურება		(27,858)	(29,855)
იჯარის ხარჯი		(32,141)	(50,500)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები		(5,176)	(114,228)
რეკლამის ხარჯები		(42,846)	(35,340)
საწვავის ხარჯი		(4,218)	(6,067)
კომუნიკაციის ხარჯი		(6,907)	(10,257)
კომუნალური მომსახურების ხარჯი		(4,817)	(6,785)
დაზღვევის ხარჯი		(5,618)	(6,050)
ბუღალტრული მომსახურების ხარჯი		(16,500)	(14,373)
საკონსულტაციო ხარჯები		(6,678)	(19,000)
სადისტრიბუციო მომსახურება		(3,987)	(12,619)
მივლინების ხარჯი		(2,783)	(19,105)
სხვა ხარჯები	(5)	(53,004)	(51,662)
საოპერაციო მოგება		***1,066,701***	***537,628***
ფინანსური ხარჯი	(13)	(551,260)	(209,137)
ფინანსური შემოსავალი	(14)	225,657	130,955
მოგება დაბეგვრამდე		***741,098***	***459,446***
მოგების გადასახადის ხარჯი			-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		***741,098***	***459,446***

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 28სექტემბერს და მისი სახელით ხელსაწერს:

<u>ულვია ვალიევა</u>

დირექტორი

მოგება ან ზარალისა და სხვა შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 7-12.

2020 წლის კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი	მთლიანიკაპიტალი
2020წლის 1 იანვარი	48,008	1,114,677	14,379	1,177,064
წმინდამოგება		741,098		741,098
გაცემული დივიდენდები		(137,868)		(137.868)
2020წლის 31 დეკემბერი	48,008	1,732,286		1,780,294

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 28სექტემბერს და მისი სახელით ხელსაწერს:

ულვია ვალიევა

დირექტორი

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 7-12.

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(ა) ორგანიზაცია და ოპერაციები

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება BIH რეგისტრირებული არის "მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის" შესაბამისად, რომელიც დარეგისტრირდა 2012 წლის 7 სექტემბერს.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ოცხელის ქ. #24 ბ-42. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 406075900

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის „საცალო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საბითუმო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით"(46460);
კომპანიის დამფუძნებელთა სტრუქტურა შემდეგნაირია:

დამფუძნებლები	2020 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 1 იანვარი
იგბალ გახრამან ოღლი ჰეიდაროვ	60 %	60 %
ილგარ ვალიევი	40 %	40 %:

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი, რადგან, როგორც საქართველოს ეროვნული ვალუტა, ის მეტწილად ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის.
ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

4. შემოსავალი

ლარი	***2020 წ.***
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	3,881,970
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	41,345
სულ შემოსავალი	**3,923,315**

5. სხვა ხარჯები

ლარი	***2020 წ.***
ბანკის საკომისიო	9.958
ავტომობილის შენახვის ხარჯები	646
სხვა საგადასახადო ხარჯი	18,343
ოფისის სხვადასხვა ხარჯი	6,638
სხვა ადმინისტრაციის ხარჯი	17,419
სულ სხვა ხარჯები	**53,004**

6. ძირითადი საშუალებები

ლარი	**წმინდა საბალანსო ღირებულება 2020წლის 1 იანვარს**	**ძირითადი საშუალების შემოსვლა**	**ძირითადი საშუალების გასვლა**	**ცვეთის ხარჯი**	**წმინდა საბალანსო ღირებულება 2020წლის 31 დეკემბერს**
ოფისის აღჭურვილობა	21,127	3,143	0	6,364	**17,906**
ავეჯი და სხვა ინვენტარი	8,044		0	3,422	**4,622**
სატრანსპორტო საშუალებები	122,964	0	0	35,753	**87,211**
სულ ძირითადი საშუალებები	**152,135**	**3,143**	**0**	**45,539**	**109,739**
არამატერიალურიაქტივები	792	0	0	187	**605**
სულ აქტივები	**152,927**	**3,143**	**0**	**45,726**	**110,344**

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	*2020 წ.*
სავაჭრო მოთხოვნები	1,350,129
გადახდილი ავანსები	30,636
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**1,380,765**

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	*2020 წ.*
მოწ. და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	908,633
მიღებული ავანსები	31,565
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**940,198**

9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2020 წლის 1 იანვრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის სალაროსა და საბანკო ანგარიშებზე.

10. გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო ვალდებულება წარმოდგენილი აქვს 67,934 ლარის ოდენობით.

11. კაპიტალი

(ა) საწესდებოკაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებში და კაპიტალის გაზრდასთა ნდაკავშირებით მესაკუთრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით განსაზღვრულ კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას.

წესდების მიხედვით, საწესდებო კაპიტალი შეადგენს 48,008 ლარს.

(ბ) დივიდენდები

კაპიტალის მფლობელს (დამფუძნებელს)უფლება აქვს მიიღოს პერიოდულად გამოცხადებული დივიდენდები.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები შეზღუდულია ფასს-ის თანახმად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი გაუნაწილებელი მოგების თანხამდე.

(გ) კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა ხელმძღვანელობა ცდილობს კომპანიის სტრატეგიული საჭიროებებიდან გამომდინარე კაპიტალის შესაბამისი ბაზის უზრუნველყოფას, რაც მიიღწევა ფულის ეფექტური მართვის და კომპანიის შემოსავლის და მოგების მუდმივი მონიტორინგის საშუალებით.

კომპანიაზე არ ვრცელდება კომპანიის გარეთ დაწესებული კაპიტალის რაიმე მოთხოვნები.

12. მარაგები

ლარი	*2020 წ.*
გასაყიდად განკუთვნილი პროდუქცია	1,604,013
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	969
სულ მარაგები	**1,604,982**

13. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	*2020 წ.*
კურსთა შორის სხვაობა	489,609
გაცემული ფასდაკლება	61,651
სულ ფინანსური ხარჯი	**551,260**

14.ფინანსური შემოსავალი

ფინანსური შემოსავალი 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	*2020 წ.*
კურსთა შორის სხვაობა	192,969
მიღებული ფასდაკლება	32,688
სულ ფინანსური შემოსავალი	**225,657**

15. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი

(ა) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელი მეორე მხარე ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის ბალანსზე არსებული შემდეგი ნაშთებიდან: კომპანიის მოთხოვნები, შეზღუდული ფულადი ნაშთები და ბანკში არსებული ანგარიშები. მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის მიმართ სააღრიცხვო თარიღისთვის არის შემდეგი:

საბალანსო ღირებულება

ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 1 იანვარი
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	31,571	99,576
მოთხოვნები	1,380,765	1,598,475
	1,412,336	**1,698,051**

მოთხოვნები ფულადი სახსრების მომწოდებლებისგან

კომპანიას არ აქვს არსებითი მგრძნობელობა საკრედიტო რისკის მიმართ აღნიშნულ მოთხოვნებთან დაკავშირებით. კომპანიის პოლიტიკის თანახმად, კომპანია არ ითხოვს უზრუნველყოფას სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში.

(ბ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისათვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი ფულის ნაშთის ქონას და დამატებით დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას.

(გ) უცხოური ვალუტის რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები.

16. დაკავშირებული მხარეები

(ა) ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

(i) წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვანმა ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება:

ლარი	2020 წელი
ხელფასები და სხვა სარგებელი	93,819

17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა და შეფასებები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

(ა) შემოსავალი

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის „საცალო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საბითუმო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით“, ამონაგების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის მიხედვით, კერძოდ ფარმაცევტული საქონლის რეალიზაციის საფუძველზე, ამონაგების ფორმირება ხდება გაყიდული/უკან დაბრუნებული პროდუქციის მიხედვით ყოველი დასრულებული თვის მონაცემებზე დაყრდნობით.

(ბ) სხვახარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

(გ) მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომელიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან.
მარაგების გაყიდვის შემთვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

(დ) ძირითადისაშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა სახის დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულბასა, დაგროვილ ცვთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალაურად.

(ე) სავაჭროდასხვამოთხოვნები

რეალიზაცია, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

(ვ) სავაჭროდასხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მნიშნელოვან მოვლენებს.